წარმომადგენლების შესახებ პოლიტიკა

FCC ჯგუფი

შინაარსი

0. ვერსიის შესახებ ისტორია..... 3
1. შესავალი..... 4
2. გამოყენების სფერო..... 4
3. **FCC** ჯგუფის მიერ კომერციულ წარმომადგენლებთან ან ბიზნეს განვითარების წარმომადგენლებთან ურთიერთობის ზოგადი პრინციპები 5
4. **FCC** ჯგუფის კომერციული წარმომადგენლებისა და ბიზნეს განვითარების აგენტების საქმიანობის ძირითადი პრინციპები 5
5. კომერციული აგენტების ან ბიზნეს დეველოპერების შერჩევის პროცედურა. 7
6. კონტროლი..... 9

0. ვერსიის შესახებ ისტორია

ვერსია	თარიღი	შესწორებები
30 ივლისი 2019	30 ივლისი 2019	დამტკიცებული დირექტორთა საბჭოს მიერ 2019 წლის 30 ივლისის კრებაზე

წარმომადგენლების შესახებ პოლიტიკა

1. შესავალი

FCC ჯგუფის საქმიანობაში არ არის უჩვეულო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა მესამე პირების მიერ, რომლებიც ორგანიზაციის გარეთ მოქმედებენ FCC სახელით და წარმოადგენენ მას ბაზარზე და სხვა პირების წინაშე. პოტენციური პარტნიორები, რომლებსაც FCC ჯგუფის წევრ კომპანიებს შეუძლიათ შეუერთდნენ კომპანიების სახით, ერთობლივ საწარმოებსა ან კონსორციუმებში, არ განიხილებიან მესამე პირებად ამ პოლიტიკის მიზნებისათვის.

FCC ჯგუფის ეთიკისა და ქცევის კოდექსი ითვალისწინებს, რომ ჯგუფის წევრი კომპანიის ურთიერთობა ნებისმიერი სახის ბიზნესპარტნიორთან, მათ შორის ამ პოლიტიკით განსაზღვრულ მესამე პირებთან, თანხვედრაში უნდა იყოს ჯგუფის ეთიკურ სტანდარტებთან, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს მესამე პირების მიერ კოდექსის დაცვით, ან ხელშეკრულებებში კონკრეტული პუნქტების დამატებით ან შესაბამისობის მოდელების დანერგვით, რომლებიც თავსებადია FCC ჯგუფის მოდელებთან.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მესამე პირები დამოუკიდებელი სუბიექტები არიან და, შესაბამისად, პასუხისმგებელნი არიან საკუთარ ქმედებებზე, FCC ჯგუფის მიერ აღნიშნულ წარმომადგენლებთან/შუამავლებთან დამყარებულმა ურთიერთობამ შესაძლოა ჯგუფი დააყენოს რისკის ქვეშ, განსაკუთრებით მათ მიერ გარკვეული ქმედებების შემთხვევაში.

მაგალითად, FCC ჯგუფი შესაძლოა იყოს პასუხისმგებელი მესამე პირის - წარმომადგენლის/აგენტის, შუამავლის ან სხვა პირის (კონსულტანტი, კონტრაქტორი, ერთობლივი საწარმოს პარტნიორი) მიერ საჯარო მოხელესთან დაკავშირებულ ანაგრიშსწორებაზე და ამავდროულად FCC-ის არ ჰქონდეს ინფორმაცია აღნიშნული მესამე პირის არასასურველი ქმედებების შესახებ. გარკვეულ იურისდიქციებში ანტიკორუფციულმა კანონმა შესაძლოა პირდაპირ დააკისროს FCC ჯგუფს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა FCC-ის სახელით მოქმედი მესამე პირის (კომერციული წარმომადგენელი ან ბიზნესის განვითარების აგენტი) მოქმედებებისთვის. FCC ჯგუფის აღნიშნულ პასუხისმგებლობას თან ახლავს უარყოფითი რეპუტაციული გავლენა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას FCC-ის კომერციული ან ბიზნესის განვითარების აგენტის არასწორი პროფესიული ქმედების გასაჯაროებისგან.

აღნიშნული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით და FCC ჯგუფის ზოგადი ეთიკური ნორმების გათვალისწინებით, წინამდებარე პოლიტიკა ადგენს ზოგად პრინციპებს, რომლებიც უნდა არეგულირებდეს FCC ჯგუფის ნებისმიერ კომერციულ წარმომადგენელთან თუ ბიზნესის განვითარების წარმომადგენელთან ურთიერთობას, ისევე, როგორც აღნიშნული წარმომადგენლების შერჩევის პროცედურებს, წარმომადგენელთან მოლაპარაკების და წარმომადგენლის საქმიანობის მაკონტროლებელ ძირითად საკითხებს.

2. გამოყენების სფერო

წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება FCC ჯგუფის წევრ ყველა კომპანიაზე. თითოეული ქვეყნისთვის ან ბიზნესსაქმიანობისთვის შესაძლოა შემოღებული იყოს უფრო კონკრეტული მოთხოვნები, თუ ეს საჭირო ან უმჯობესია, მაგრამ ადგილობრივმა ან სექტორულმა სპეციფიკაციებმა არ უნდა გამოიწვიოს ამ დოკუმენტით დადგენილი

ძირითადი პრინციპებისა და პროცედურების გამოყენებისგან გათავისუფლება.

3. FCC ჯგუფის კომერციულ წარმომადგენლებთან ან ბიზნესის განვითარების აგენტებთან ურთიერთობის ზოგადი პრინციპები

კომერციული აგენტების ან ბიზნესის განვითარების აგენტების გამოყენება, შეიძლება ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი იყოს გარკვეულ სექტორში FCC ჯგუფის შესვლისა და ფუნქციონირებისთვის, კონკრეტული ბაზრის ან საქმიანობის შესახებ სპეციფიკური ცოდნის საჭიროების გათვალისწინებით. FCC ჯგუფის მიერ წარმომადგენლების შერჩევა თითოეულ შემთხვევაში უნდა ითვალისწინებდეს ბიზნესის ან იურისდიქციის თავისებურებებს, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა იმართებოდეს შემდეგი ზოგადი პრინციპებით:

ა) **ეთიკა**: FCC-ის ბიზნეს პარტნიორებმა და მათ, რომლებსაც შეუძლიათ წარმოადგინონ ჯგუფი მესამე პირებთან ურთიერთობაში, უნდა გაიზიარონ FCC ჯგუფის ფუნდამენტური ეთიკური პრინციპები, განსაკუთრებით კორუფციასა და ბაზარზე კანონსაწინააღმდეგო ქმედებების მიმართ ნულოვან ტოლერანტობასთან დაკავშირებით.

ბ) **პასუხისმგებლობა**: FCC ჯგუფი და მისი კომერციული წარმომადგენლები ან ბიზნეს განვითარების აგენტები ყოველთვის პასუხისმგებლობას იღებენ ნებისმიერ დროს ზედმიწევნით დაიცვან მოქმედი რეგულაციები და ეთიკური სტანდარტები და სოციალური ვალდებულებები, რომლებიც თავსებადია FCC ჯგუფის სტანდარტებთან.

გ) **დოკუმენტაცია**: FCC ჯგუფსა და მის წარმომადგენლებსა თუ ბიზნესის გავითარების აგენტებს შორის ურთიერთობა ორივე მხარისთვის გამჭვირვალე უნდა იყოს. ურთიერთობის პირობები ყოველთვის წერილობით იქნება აღწერილი ხელშეკრულებაში, რომელშიც ნათელად განისაზღვრება თითოეული მხარის ვალდებულებები და უფლებები და კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნეს განვითარების აგენტის მოქმედების ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები, ისევე, როგორც ხელშეკრულების დარღვევის შედეგები და ეფექტები.

დ) **მოთხოვნები:** წარმომადგენლებისა და ბიზნესის განვითარების აგენტების მომსახურების გამოყენება ყოველთვის არის დამხმარე FCC ჯგუფის პირდაპირი საქმიანობისთვის. FCC ჯგუფი მიმართავს წარმომადგენლებს, როდესაც მათი საქმიანობის საჭიროება იქნება დასაბუთებული.

4. FCC ჯგუფის კომერციული წარმომადგენლებისა და ბიზნეს განვითარების აგენტების საქმიანობის ძირითადი პრინციპები

FCC ჯგუფი მოითხოვს, რომ ნებისმიერი წარმომადგენელი ან პირი, რომელსაც შეუძლია წარმოადგინოს კომპანია ადგილობრივ თუ საერთაშორისო კომერციულ გარიგებაში, უნდა იცნობდეს საქმიანობის ჩამოთვლილ პრინციპებს და მზად იყოს მკაცრად დაიცვას ის, ამგვარად, მკაცრად იმოქმედოს მისი თანამშრომლებისა თუ პარტნიორების მიერ გამოვლენილი ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში.

ა) **საკანონმდებლო შესაბამისობა:** FCC ჯგუფის წარმომადგენლებსა და აგენტებს აქვთ ვალდებულება დაემორჩილონ ადგილობრივ კანონებსა და რეგულაციების მოთხოვნებს საქმიანობისთვის, რომელსაც ისინი ახორციელებენ FCC ჯგუფთან დადებული ხელშეკრულების ფარგლებში.

ბ) **კონტროლი**: წინა პრინციპთან შესაბამისობის და FCC ჯგუფისთვის მომსახურების მიწოდებისთვის, კომერციულ წარმომადგენელს ან ბიზნეს განვითარების აგენტს შემუშავებული უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო შესაბამისობის FCC ჯგუფის მექანიზმებთან თავსებადი კონტროლის მექანიზმები, განსაკუთრებით კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით. ასეთი მექანიზმების არ არსებობის შემთხვევაში, და კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით (მაგალითად, ფიზიკური პირების შემთხვევაში), შესაძლოა მიზანშეწონილად განიხილებოდეს შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილება, - (i) დაცული იქნას ამ პოლიტიკის ვალდებულებები ან (ii) კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტისთვის მოთხოვნილი იქნას საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვა სახელშეკრულებო პირობით. კონტროლის მექანიზმები და გარანტიები უნდა გადამოწმდეს FCC ჯგუფთან ხელშეკრულების გაფორმებისას; ნებისმიერ შემთხვევაში, FCC ჯგუფს შეუძლია მოსთხოვოს კომერციულ წარმომადგენელს ან ბიზნესის განვითარების აგენტს გონივრულობის და პროპორციულობის ფარგლებში წარმოადგინოს აღნიშნული კონტროლის მექანიზმების შესახებ მტკიცებულება ან დაადასტუროს პირობები ხელშეკრულების მოქმედების სრულ პერიოდზე.

გ) **შესაბამისი სტრუქტურა და რესურსები:** კომერციულმა წარმომადგენელმა ან ბიზნესის განვითარების აგენტმა უნდა დაადასტუროს, რომ მას აქვს საჭირო და ადეკვატური სტრუქტურა და რესურსები ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების უზრუნველსაყოფად.

დ) **ანაზღაურება:** ანაზღაურება, რომელსაც კომერციული წარმომადგენელი ან ბიზნესის განვითარების აგენტი მიიღებს მომსახურების გათვალისწინებით, ყოველთვის შესაბამისობაში უნდა იყოს საბაზრო ფასთან და პრაქტიკასთან. ანაზღაურება განხორციელდება გადახდის მხოლოდ იმ მეთოდების გამოყენებით, რომელიც კანონიერია შესაბამის იურისდიქციაში.

ე) **საქმიანობის მტკიცებულება**: FCC ჯგუფის მოთხოვნით, კომერციულმა წარმომადგენელმა ან ბიზნესის განვითარების აგენტმა უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებს და აღწერს კომპანიის სახელით განხორციელებული საქმიანობის შესრულებას.

ვ) **ინტერესთა კონფლიქტი**: კომერციულმა წარმომადგენელმა ან ბიზნესის განვითარების აგენტმა უნდა აიღოს ვალდებულება ყოველთვის იმოქმედოს კეთილსინდისიერად, ბიზნეს და FCC-ის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, კონსულტაცია გაიაროს FCC ჯგუფთან შემთხვევებზე, სადაც შეიძლება წარმოიქმნას ინტერესთა კონფლიქტი - პირადი ან დაკავშირებულ მხარეებთან ინტერესთა კონფლიქტი, და კონფლიქტი კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტის კომერციულ ინტერესებთან მიმართები.

აღნიშნული მიზნებისათვის დაკავშირებული პირები არიან: კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტის მეუღლე (ან მსგავს ურთიერთობაში მყოფი პირი), კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტის ან მათი მეუღლის (ან მსგავს ურთიერთობაში მყოფი პირი) აღმავალი ან დაღმავალი შტოს ნათესავები და დედმამიშვილები, ან კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტის აღმავალი ან დაღმავალი შტოს ნათესავების და დედმამიშვილების მეუღლეები (ან მსგავს ურთიერთობაში მყოფი პირები)

არცერთ შემთხვევაში, FCC ჯგუფის მიერ წინასწარი ავტორიზაციის გარეშე, კომერციულ წარმომადგენელს ან ბიზნესის განვითარების აგენტს არ შეუძლია საკუთარი ან მესამე პირის სახელით წარმოადგინოს ან იმოქმედოს FCC ჯგუფის

პოზიციებისგან საწინააღმდეგოდ.

ზ) **კონფიდენციალურობა**: კომერციულმა წარმომადგენელმა ან ბიზნესის განვითარების აგენტმა უნდა შეინარჩუნოს FCC ჯგუფის კომერციული ინფორმაციისა და გარიგების საიდუმლოების შესახებ კონფიდენციალურობა, კომერციული ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც კი. ეს ვალდებულება გულისხმობს FCC ჯგუფის ნებისმიერი ინფორმაციის გამოყენების ან ნებისმიერი სხვა პირისთვის ან ორგანიზაციისთვის გამჟღავნების აბსოლუტურ აკრძალვას.

თ) **სიზუსტე და უტყუარობა**: კომერციული წარმომადგენელი ან ბიზნესის განვითარების აგენტი გადაამოწმებს და პასუხისმგებელი იქნება თანამშრომლების კომპეტენციებისა და კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტების შესახებ ინფორმაციის უტყუარობაზე, რომელიც წარმოადგენს FCC-თან ხელშეკრულების ნაწილს, ისევე როგორც ყველა გარემოებაზე, რომელიც დაკავშირებულია ამ ზოგად პრინციპებთან.

ი) **კეთილსინდისიერება:** კომერციული წარმომადგენელი ან ბიზნესის განვითარების აგენტი (და, საჭიროების შემთხვევაში, მისი მფლობელები, მმართველი პირები და თანამშრომლები) არ უნდა იყოს ჩართული მიმდინარე გამოძიებაში ქრთამის გადახდასთან ან მიღებასთან ან რაიმე სხვა კორუფციულ გარიგებასთან დაკავშირებით. ასევე, არ უნდა იყოს ნასამართლევი რომელიმე ამ საკითხთან დაკავშირებით ბოლო 3 წლის განმავლობაში. გამოძიება უნდა მიმდინარეობდეს საქართველოს პროკურატურის ან სხვა კომპეტენტური ორგანოების მიერ დადასტურებული ფაქტების ან ქმედებების საფუძველზე.

5. კომერციული წარმომადგენლების ან ბიზნესის განვითარების აგენტების შერჩევის პროცედურა.

კომერციული წარმომადგენლების ან ბიზნესის განვითარების აგენტების დაქირავების პროცესი უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ ეტაპებს, რომლებიც სათანადოდ უნდა იყოს დოკუმენტირებული:

ა) **კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტის იდენტიფიკაცია:** მესამე მხარის მიერ არასათანადო გადახდების რისკის შესამცირებლად მნიშვნელოვანია ბიზნესპარტნიორების, მათ შორის აგენტების, კონსულტანტების და კონტრაქტორების, რომლებიც იმოქმედებენ შუამავლის სახით, სათანადოდ შერჩევა და ნებისმიერი პოტენციური არასათანადო ქცევის წინასწარ განსაზღვრა. ეს პროცესი არის საფუძველი FCC ჯგუფისთვის, მიიღოს გადაწყვეტილება კეთილსინდისიერად გააგრძელოს საქმინობა, ჰქონდეს მოლოდინი რომ შუამავლის საქმიანობა იქნება მართლზომიერი და ეთიკური.

კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტის დაქირავებით დაინტერესებულმა ბიზნეს ერთეულმა ან შვილობილმა კომპანიამ, პირველ რიგში, უნდა შეაფასოს ნებისმიერი პოტენციური კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტის **შესაბამისობა** როგორც საოპერაციო (მათი პროფესიული კვალიფიკაციის თავსებადობა საქმიანობასთან), ასევე, რეპუტაციული თვალსაზრისით. ამგვარად, აღნიშნული ბიზნესის ერთეული ან შვილობილი კომპანია პასუხისმგებელი იქნება ორგანიზაციის, მისი მფლობელების და დირექტორების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და ტექნიკურ კვალიფიკაციასთან, სტრუქტურასა და რესურსებთან, ასევე, ფინანსურ მაჩვენებლებთან მიმართებით მათ შეფასებაზე. ამ პროცესში შეფასდება კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტის (ან მისი მფლობელების ან მმართველის) წარსული გამოცდილება, რეპუტაცია, ტექნიკური კვალიფიკაცია, ფინანსური მაჩვენებლები და საჯარო მოხელეებთან შესაძლო

ურთიერთობები. ნებისმიერ შემთხვევაში, წარმომადგენლის ან აგენტის შესაბამისობის ანალიზი უნდა მიეწოდოს შესაბამის ბიზნეს ერთეულს.

ბიზნესის შესაბამისობის ოფიცერი გადაამოწმებს დოკუმენტს და დაადასტურებს, რომ შეფასება განხორციელდა.

ბ) **მოლაპარაკებები კომერციულ წარმომადგენელთან ან აგენტთან**: მას შემდეგ, რაც აგენტის შესაბამისობა დადასტურდება, შეიძლება დაიწყოს მოლაპარაკებები აგენტსა და FCC ჯგუფს შორის ურთიერთობის წამოსაწყებად.

აგენტის დაქირავება და მომსახურების ვადები და პირობები უნდა იყოს ავტორიზირებული ბიზნესის ხელმძღვანელის, უმაღლესი რგოლის აღმასრულებელი პირის მიერ.

ამ მოლაპარაკების შედეგად მიღებული ხელშეკრულება პირდაპირ უნდა არეგულირებდეს შემდეგ საკითხებს:

- წარმომადგენლის ან აგენტის მიერ განსახორციელებელი მომსახურების დეტალური აღწერა.
- ხელშეკრულების დადებისას მკაფიოდ და დათვლადი სახით გამოხატული შეთანხმებული ანაზღაურება, ასევე გადახდის პირობები.
- კომერციული წარმომადგენლის და ბიზნესის განვითარების აგენტის მიერ მე-4 თავში აღწერილი პრინციპების აღიარება და დაცვა.
- მკაფიოდ გამოხატული ვალდებულება, დაიცვას რეგულაციები და, განსაკუთრებით, ანტიკორუფციული რეგულაციები, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, დანართი იმ შიდა პროცედურების აღწერით, რომლებიც განხორციელდება კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტის მიერ, ვალდებულება დაიცვას წინამდებარე პოლიტიკა ან მიზანშეწონილად მიჩნეული სახელშეკრულებო პირობები (იხ. თავი 4 (ბ), ზემოთ).
- აღიარება FCC ჯგუფის მიერ აუდიტის განხორციელების, გონივრული ზომით წინა ნაწილში აღწერილ პრინციპებთან შესაბამისობის გადამოწმების მიზნით.
- საჭიროების შემთხვევაში, კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტის (და, სადაც შესაძლებელია, მისი მმართველებისა და თანამშრომლების) FCC ჯგუფის ეთიკის არხზე წვდომის უფლების აღიარება.
- წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტის ვალდებულება უზრუნველყოს მის მიერ FCC ჯგუფის სახელით განხორციელებული პროცედურების დოკუმენტირება და ამ დოკუმენტაციის შენახვა სულ მცირე ხუთი წლის ვადით (თუ მოქმედი კანონმდებლობა შენახვის უფრო მეტ ვადას არ განსაზღვრავს).
- კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტის ვალდებულება, უვნებლად დაიცვან FCC ჯგუფი ნებისმიერი ზიანისგან, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ამ პოლიტიკით დადგენილი პრინციპების დარღვევით.
- FCC ჯგუფის უფლებამოსილების აღიარება, რომ შეწყვიტოს ხელშეკრულება კომერციულ წარმომადგენელთან ან ბიზნესის განვითარების აგენტთან ამ პოლიტიკით დადგენილი პრინციპების დარღვევის შემთხვევაში.

გ) **რეესტრის წარმოება**: FCC ჯგუფის თითოეული ბიზნესის შესაბამისობის

ოფიცერი შეიმუშავებს და შეინარჩუნებს წარმომადგენლებისა და ბიზნესის განვითარების აგენტების განახლებულ რეესტრს, რომელშიც ასახული უნდა იყოს ამ პოლიტიკასთან შესაბამისობის შესამოწმებლად საჭირო ყველა ინფორმაცია, (მათ შორის, ნებისმიერ შემთხვევაში, შესაბამისობის შეფასების სრული დოკუმენტი, შესაბამისობის ოფიცრის დამოწმება, ბიზნესის ხელმძღვანელის უმაღლესი რგოლის აღმასრულებელის მიერ აგენტის დაქირავების ავტორიზაცია და აგენტთან გაფორმებული ხელშეკრულება), აგრეთვე ყველა ასპექტის შესახებ ინფორმაცია, რაც ასახავს აგენტთან ურთიერთობას (მაგალითად, აგენტისთვის მინიჭებული მინდობილობები). ბიზნესის შესაბამისობის ოფიცრებმა აგენტების რეესტრიდან ინფორმაცია უნდა გადასცენ ჯგუფის შესაბამისობის ოფიცერს ყოველ ექვს თვეში.

გარკვეულ შემთხვევებში, ბიზნესის სტრუქტურულ ერთეულებს მოუწევთ დანერგონ კონკრეტული პროცესები კონკრეტული ქვეყნის ან გარკვეული კომერციული გარიგებების თანმდევი რისკის გათვალისწინებით.

6. კონტროლი

მიუხედავად იმისა, რომ კომერციული წარმომადგენლების და ბიზნესის განვითარების აგენტის შერჩევისა და დაქირავების პროცესი შესაძლოა შეესაბამებოდეს წინა თავებში დადგენილ პრინციპებს, კომერციულ წარმომადგენლების და აგენტების დიუ დილიჯენსის დადასტურება შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ FCC ჯგუფი აქტიურად განახორციელებს და დაგეგმავს საქმიანობის კონტროლის პოლიტიკას.

ამ თვალსაზრისით, სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტის დაქირავებაზე, განახორციელებს შესაბამისობის პერიოდულ შემოწმებას.

აღნიშნული შემოწმების/კონტროლის შედეგი შეტანილი იქნება კომერციული წარმომადგენლებისა და ბიზნესის განვითარების აგენტების რეესტრში.

თუ ბიზნესის მმართველ პირებს აქვთ მტკიცებულება ან არსებობს ეჭვი აგენტის მიერ საქმიანობის სათანადოდ შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, ყოველთვის უნდა იქნას გამოყენებული სიფრთხილის პრინციპი კომერციულ წარმომადგენელთან ან ბიზნესის განვითარების აგენტთან ურთიერთობის დაუყოვნებლივ შეჩერების სახით.

დანართი
FCC ჯგუფის წარმომადგენლების შესახებ პოლიტიკასთან შესაბამისობის შეფასების ფორმა

ქვემოთ მოცემულია კითხვარი, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს, შეესაბამება თუ არა კომერციულ წარმომადგენელთან ან ბიზნესის განვითარების აგენტთან საქმიანობა FCC ჯგუფის პოლიტიკას, ამ მხრივ:

კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები	
ბიზნეს ერთეული	
ქვეყანა	

	კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტის შერჩევისა და დაქირავების ძირითადი საკითხები	დიახ	არა
1.	იზიარებს თუ არა კომერციული წარმომადგენელი ან ბიზნესის განვითარების აგენტი FCC ჯგუფის ეთიკურ პრინციპებს?		
2.	თანახმაა კომერციული წარმომადგენელი ან ბიზნესის განვითარების აგენტი შესაბამისობაში იყოს კანონმდებლობასთან?		
3.	განხორციელდა თუ არა აგენტის ან წარმომადგენლის საოპერაციო და რეპუტაციული შესაბამისობის შეფასება?		
4.	დასაბუთებულია თუ არა კომერციული წარმომადგენლის ან ბიზნესის განვითარების აგენტის დაქირავების აუცილებლობა?		
5.	არის თუ არა ურთიერთობა კომერციულ წარმომადგენელთან ან აგენტთან სათანადოდ დოკუმენტირებული?		
6.	აქვს თუ არა კომერციულ წარმომადგენელს ან ბიზნესის განვითარების აგენტს რეგულაციებთან შესაბამისობის კონტროლის მექანიზმები ან, მისი არარსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილია თუ არა წარმომადგენლების შესახებ პოლიტიკის მე-4 თავით გათვალისწინებული კონტროლის გარანტიები?		
7.	აგენტის ანაზღაურება გონივრულად შეესაბამება თუ არა საბაზრო ფასს და მომსახურების პრაქტიკას?		

ხელმოწერილია